26

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 51 (14047) | პარასკევი, 1 მარტი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის მონინავეთა რესპუბლიკური თათბირი

29 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი.

აქ შეიკრიბნენ მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორები, ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობათა ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მეცნიერები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები.

თათბირის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ვ. მჟავანაძე, პ. როდიონოვი, რ. ფრუიძე, გ. ჩოგოვაძე, შ. ჭანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი, მ. კუჭავა,** მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები, მინისტრები, თვალსაჩინო მეცნიერები.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. მჟავანაძემ.**

მოხსენება **„რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მუშაკთა ამოცანები 1968 წელს“** გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ჯავახიშვილმა.**

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც გამოვიდნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. ბუხრაშვილი,** ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 5 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი **ი. შამბა,** გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **შ. ეცადაშვილი,** ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი **გ. ცინცაძე,** ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი **ა. ჭირია,** გარდაბნის რაიონის სამგორის სანაშენე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ვ. კორძაძე,** ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **გ. ჩხეიძე,** ლენინგორის რაიონის სოფელ აბრეკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. კოდალაევი,** მცხეთის რაიონის ექიმი პედიატრი **ლ. სამადალაშვილი,** ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **ზ. ბუცხრიკიძე,** აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. დავითაძე,** პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი **ი. ელოშვილი,** გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი **ნ. ხასაია,** თბილისის წინდის ფაბრიკის კომუნისტური შრომის დამკვრელი, საამქრო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი **მ. აბულაძე,** მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მ. ორაგველიძე,** საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტის დირექტორი **ვ. მელქაძე,** თიანეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **დ. ლომჯარია,** გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი **ა. შოშიაშვილი,** ქალაქ თბილისის ინდივიდუალური შეკერვის № 5 საბავშვო ატელიეს გამგე **ნ. მეფარიშვილი,** თბილისის სავაგონო დეპოს პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალაძე.**

თათბირზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ჯავახიშვილმა.**

თათბირმა განიხილა და მიიღო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშაკთა 1968 წლის სოციალისტური ვალდებულებანი.

თათბირის ანგარიში გამოქვეყნდება. (საქდესი).

სოლიდარობის წერილი

ვიეტნამელ ხალხს, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

67 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრაზე შეიკრიბნენ, ძმურად მიესალმებიან გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც ამერიკელ აგრესორთა და მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში იცავს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობას.

ვიეტნამელი ხალხის ეპოპეა მაგალითი და სტიმულია ყველა ხალხისათვის, რომლებიც თავიანთი განთავისუფლებისათვის ებრძვიან. ეს ავრცელებს ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობის მძლავრი ფაქტორია. ვიეტნამი მამაცობის, სიმტკიცისა და შეუპოვრობის სიმბოლოა ხალხთა მთავარი მტრის — ამერიკის იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ თვალსაჩინოდ ცხადყოფთ, რომ ვერ დამარცხებენ ხალხს, რომელიც სამართლიანი საქმისათვის სიმართლეელად აღდგა.

გამარჯვებები, რომლებიც ამ ბოლო კვირეების მანძილზე მოიპოვეთ, საყოველთაო აღტაცებას იწვევენ. მხურვალედ მიულოცავთ ვიეტნამელ პატრიოტებს, რომლებიც მტერს დარტყმას დარტყმაზე აგემენენ, და დარწმუნებული ვართ, რომ ვიეტნამელი ხალხი გაიმარჯვებს უცბოელ დამპყრობლებთან ბრძოლაში.

ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც საერთაშორისო ჟანდარმის, ხალხთა თავისუფლების ჩამბუბობის როლს ასრულებს, მისი დანაშაულობათა მიუხედავად ვერასოდეს ვერ განახორციელებს თავის ზრახვებს. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სულ უფრო დიდ პროტესტს აცხადებენ და გმობენ ამერიკის მმართველი წრეების დანაშაულებრივ პოლიტიკას — ნამდვილი გენოციდის პოლიტიკას.

ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც ზედიზედ მარცხდება, განაგრძობს ომის ესკალაციას ვიეტნამში, იმუქრება, რომ გამოიყენებს ატომურ იარაღს, და ამით რეალურ საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას, ქმნის მსოფლიო თერმოატომური ომის საფრთხეს. დღეს განსაკუთრებით საჭიროა ხალხთა სიფხიზლე და მტკიცე მოქმედება ამ უდიდესი საფრთხის წინააღმდეგ.

ვიეტნამელი ხალხი, იცავს რა თავის ქვეყანას, ამით ასრულებს ინტერნაციონალურ მოვალეობას მთელი კაცობრიობის წინაშე, ემსახურება მშვიდობის დაცვის წმიდა საქმეს.

ჩვენ, კომუნისტებს, მებრძოლ ვიეტნამთან სოლიდარობა ღვიძლ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიგვაჩნია. ჩვენი პარტიების სახელით, მილიონობით ჩვენი მომხრის სახელით ერთხელ კიდევ მტკიცედ ვაცხადებთ, რომ გადაწყვეტილი გვაქვს მთელი საჭირო დახმარება გავუწიოთ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის წინა ხაზზეა. თქვენთან არიან სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, თქვენთან არის ყველა კომუნისტი, თქვენთან არიან მთელი მსოფლიოს მუშები და მშრომელები, თქვენთან არიან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლები, თქვენთან არის დედამიწის ყველა ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება და მშვიდობა, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ადამიანებიც. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ დახმარება, რომელსაც გიწევენ სოციალისტური ქვეყნები, მსოფლიოს ყველა მშრომელნი, სულ უფრო გაიზრდება.

გამარჯვებებისათვის მებრძოლი ვიეტნამელი ხალხის მხარადჭერის საერთაშორისო ფრონტის განუხრელი განმტკიცება და გაფართოება შეეხებამება თვითეული ქვეყნის, თვითეული ხალხის ინტერესებს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს. ჩვენი დროის ყველაზე დიდი მოთხოვნაა ერთიანი მოქმედება იმპერიალიზმის და უწინარეს ყოვლისა ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ძვირფასო მეგობრებო! სავსებით გეთანხმებით, რომ არსებობს ვიეტნამის საკითხის გადაჭრის მხოლოდ ერთი გზა — ეს საკითხი უნდა გადაიჭრას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სამართლიან წინადადებათა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პროგრამის საფუძველზე. მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ და უთუოდ შეწყვიტონ ვიეტნამის ბარბაროსული დაბომბვა და ყველა სხვა საომარი მოქმედება მის წინააღმდეგ.

ვიეტნამის მიწამ შვა ამაყი და მამაცი ხალხი, და გარდუვალად დადგება ის ეამი, როცა უკანასკნელ ინტერვენტს გაეძევებენ ამ წმიდათა-წმიდა მიწიდან. ვიეტნამს არა ჰყავს და არც ეყოლება სხვა ბატონ-პატრონი, გარდა ვიეტნამელი ხალხისა.

სახელი და დიდება გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც თავდადებულად იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

ბუდაპეშტი, 1968 წ. 28 თებერვალი.

ეს მოხდა გუშინ

იგზავნება ახალი პროდუქცია

ჯასტაფონი. (ტელეფონით, „კომუნისტის“ საკ. კორ. პ. ჭიოკაძე). კაბელების ქარხნის კოლექტივმა გუშინ შეაჯამა თებერვლის მუშაობის შედეგები. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 15.300 მანეთის პროდუქცია. წელს აქ აითვისეს ტროპიკული შესრულების სამონტაჟო კაბელის გამოშვება, რომელზეც მიღებულია შეკვეთები სირიიდან, ინდოეთიდან და პოლონეთიდან.

29 თებერვალს ქარხნის კოლექტივმა სირიაში გააგზავნა 6 კილომეტრი ახალი პროდუქცია — ტროპიკული შესრულების სამონტაჟო კაბელი. ამ პასუხსაგები შეკვეთის შესრულებაში თავი გამოიჩინეს ცვლის ოსტატმა გ. სამხარაძემ, კომუნისტური შრომის დამკვრელებმა ნ. კაპანაძემ, გ. ლაბაძემ.

ქარხნის კოლექტივი გულმოდგინედ განაგრძობს მუშაობას ინდოეთსა და პოლონეთიდან მიღებული ახალი შეკვეთების ვადამდე შესრულებისათვის.

ქარხნის დირექტორმა ლ. კუხიანიძემ განაცხადა, რომ ამ დღეებში ათვისებულია კიდევ ორი ახალი მარკის სამონტაჟო გამტარის გამოშვება, რომელიც უკვე ჩვენი ქვეყნის 80-დან ქალაქში გაიგზავნა.

ქარხნის მისამართით მოსული შეკვეთების რიცხვი დღითიდღე იზრდება.

მაუდ-კამპოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა შესანშნავი მაჩვენებლებით დამთავრა გასული სამეურნეო წელი. ამ დღეებში კომბინატის დირექტორის მ. ბაბუნაშვილის სახელზე სასახლეულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: საიუბილეოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებისათვის 1967 წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით კომბინატის კოლექტივი დაჯილდოდა სსრ კავშირის მუშებქი მრეწველობის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და პირველი ფულადი პრემიით.

ფეიერგბისათვის მიღწეული ზღვარი როდია. მათ არც ხუთწლედის მესამე წელს შეუტყვენიათ თავი, გადაჭარბებით იქნა შესრულებული ინვრის გეგმა. თებერვალშიც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მატყლის პირველადი დამუშავების, მაუდის, საქსოვი და კამვოლური ნართის წარმოებათა კოლექტივებმა.

ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲤᲔᲘᲥᲠᲔᲑᲝ!

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ᲯᲐᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (ტელეფონით, „კომუნისტის“ საკ. კორ. ᲞᲘᲝᲙᲐᲫᲔ). ᲙᲐᲑᲔᲚᲘᲡᲗᲐ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ. ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ 15.300 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ. ᲬᲔᲚᲡ ᲐᲥ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲡ ᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲝ ᲙᲐᲑᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ ᲡᲘᲠᲘᲘᲓᲐᲜ, ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ.

29 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ ᲡᲘᲠᲘᲘᲨᲘ ᲒᲐᲐ�გᲖᲐᲕᲜᲐ 6 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ — ᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲝ ᲙᲐᲑᲔᲚᲘ. ᲐᲛ ᲞᲐᲡᲣᲮᲡᲒᲐᲒᲔᲑᲘ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲛᲐ Გ. ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔᲛ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲔᲑᲛᲐ Ნ. ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔᲛ, Გ. ᲚᲐᲑᲐᲫᲔᲛ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲓ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ Ლ. ᲙᲣᲮᲘᲐᲜᲘᲫᲔᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲝ ᲒᲐᲛᲢᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲠᲘᲘᲡᲐᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲑᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲓ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲙᲐᲛᲕᲝᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲠᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲕᲔᲑᲐ 105,8 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲓᲐ Გ. ᲙᲝᲑᲐᲘᲫᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ 108,5 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲓᲐᲐᲠᲜᲔᲓᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲛᲣᲨᲐᲝᲓᲜᲔᲡ ᲛᲘᲠᲗᲣᲚᲔᲑᲛᲐ Გ. ᲗᲐᲕᲒᲐᲯᲐᲫᲔᲛ, Თ. ᲑᲐᲜᲢᲣᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲛᲐ.

Ⓣ. ᲙᲘᲜᲬᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲣᲗᲜᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (ტელეფონით, „კომუნისტის“ საკ. კორ. შ. ᲯᲐᲒᲨᲘᲫᲔ). № 4 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც გასული წლის მეოთხე კვარტალს შედეგებით პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირში, კიდევ უფრო გააძლიერა შრომის ტემპი ხუთწლედის მესამე წელს.

მკერვალებმა ვადაზე სამი დღით ადრე მთლიანად შეასრულეს იანვარ-თებერვლის დავალება. 2 თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 65 ათასი მანეთის საერთო და ნახევარი მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია.

ამ დღეებში ფაბრიკის კოლექტივმა გამოუშვა სრულიად ახალი სახის პროდუქცია — ნიტრონის ქსოვილებისაგან დამზადებული უმაღლესი ხარისხის სახაფხულო პალტოები. ამ ნაწარმს, რომლის ნიმუშები წარდგენილი იყო რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამხატვრო საბჭოზე, 37 ბალი მიეკუთვნა. მამაკაცისა და ქალის ლამაზ და მოხდენილ საზაფხულო პალტოებს, რომლებიც მსოფლიო საუკეთესო სტანდარტების დონეზეა შეკერილი, ამ დღეებში მიიღებენ სავაჭრო ორგანიზაციები.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ᲙᲐᲡᲞᲘ. (ტელეფონით, „კომუნისტის“ საკ. კორ. რ. ᲑᲐᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ). ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ „ᲙᲐᲡᲞᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ“ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Გ. ᲒᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ) ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲥ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲛ თავისი მაღალხარისხოვნებით სახელი გაითქვა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. კარგად იშრომა იანვარში ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივმა. დიდი გადაჭარბებით შესრულდა საერთო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. შედეგ ათასი მანეთით შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, ხოლო მოგებამ 180 ათას მანეთს გადააჭარბა.

26 თებერვალს „კასპელექტროაპარატის“ მუყაოთმა კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების თებერვლის გეგმა შეასრულა. 460 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 470 ათასი მანეთის პროდუქცია.

თებერვლის გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს ამწყობი საამქროს ბრიგადებმა, რომლებსაც ვახტანგ მარქარაშვილი და ნოდარ ახალკაცი ხელმძღვანელობენ.

რაოდენობაც, ხარისხიც

საჩხერე. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად შრომობს საყალიბე ქვიშების მაღაროს კოლექტივი, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა იანვრის დავალება და წარმატებით მუშაობს თებერვალშიც. მაღაროელებმა მარტო იანვარში სამშობლოს მისცეს 3.760 ტონა საყალიბე და კვარცის ქვიშები — გეგმაზე 1.580 ტონით მეტი.

მიუხედავად ზამთრის სიძნელეებისა, თავდადებულად მუშაობენ ი. აბრამიშვილი, ვლ. მოსიაშვილი, ვ. ერაძე, ნ. სიკინაშვილი და სხვ. ისინი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს.

აღსანიშნავია, რომ მაღაროს კოლექტივი კარგახანია მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს და ურეკლამაციოდ მუშაობს.



ᲖᲐᲠᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲡ ᲗᲘᲗᲝᲛᲘ ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲗᲘᲗᲝᲛᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲑᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲛ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲑᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲩᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲠᲔᲩᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲢᲠᲘᲙᲝᲢᲐᲟᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲝᲑᲡ ᲗᲣᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘᲪ. ᲛᲐᲒᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ 3.760 ᲢᲝᲜᲐ ᲡᲐᲧᲐᲚᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲙᲕᲐᲠᲪᲘᲡ ᲥᲕᲘᲨᲔᲑᲘ — ᲒᲔᲒᲛᲐᲖᲔ 1.580 ᲢᲝᲜᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲝᲑᲔᲜ Ი. ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲕᲫ. ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ვ. ᲔᲠᲐᲫᲔ, Ნ. ᲡᲘᲙᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲡ.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲙᲐᲠ�გᲐᲮᲐᲜᲘᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐᲪᲘᲝᲓ ᲛᲣᲨᲝᲑᲡ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ XIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

28 თებერვალს ნაშუადღევს ყრილობის დელეგატები განაგრძობდნენ სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის განხილვას. სხდომაზე გამოვიდნენ სოციალისტური შრომის გმირი ქარხანა „ზაპოროჟსტალის“ მეფოლადე **მ. ტ. კინენბასი** და მიჩურინელი პედაგოგი, რუსეთის სფსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი **ვ. ი. კირინა.**

სამანდატო კომისიის მოხსენება წაიკითხა **ვ. ი. პოსოხოროვმა.** მან თქვა, რომ პროფკავშირთა XIV ყრილობაზე არჩეულია 4.561 დელეგატი. ეს ათეულ უფრო მეტია, ვიდრე სრულიად რუსეთის პროფკავშირთა პირველ ყრილობაზე იყო ორმოცდაათი წლის წინათ, დიდი ოქტომბრის გამარჯვების ორი თვის შემდეგ. მას შემდეგ პროფკავშირთა წევრების რიცხვი 42-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

სამანდატო კომისიამ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ XIV ყრილობის დელეგატებად ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრი და წევრობის კანდიდატი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები.

დელეგატთა შორის არის 2.230 მუშა, ასზე მეტი საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეი, სამოცი მეცნიერი, კულტურისა და ხელოვნების ბევრი მოღვაწე. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პროფკავშირთა ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებენ ქალები. ისინი მეთაურობენ 250 ათასზე მეტ პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციას. დელეგატთა შორის 41,1 პროცენტი ქალია.

ყრილობაზე ჩამოვიდნენ ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, ეროვნული ოლქისა და მხარის მშრომელთა წარმომადგენლები. დელეგატთა 59,9 პროცენტი სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია. დელეგატთა თითქმის სამოცი პროცენტი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. მათ შორის 557 სოციალისტური შრომის გმირი, 72 ლენინური და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

XIV ყრილობა საბჭოთა პროფკავშირების ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობითი ყრილობაა, აღნიშნა მოხსენებელმა.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV ყრილობას მიესალმნენ იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანი **რინალდო სკიდა,** ბულგარეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **როზა კორიტაროვა,** რუმინეთის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **გეორგე აპოსტოლი,** კორეის გაერთიანებულ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბეკ ბონ სუ.**

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ეგრეთვე საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **შ. დ. კიკვიძე,** სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ვ. მ. კოჟევნიკოვი,** ლატვიის პროფკავშირთა რეს

სკკპ დელეგაციის მეთაურის ამხანაგ ვ. ა. სუსლოვის სიტყვა

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრაზე

ძვირფასო ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, სახელოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის სახელით გულითადად მივესალმო საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილე მოძმე პარტიების ყველა წარმომადგენელს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფართოდ ემთხვევა ერთმანეთს მათი შეხედულებანი მთავარსა და ძირითადში — მისწრაფებაში — შეაკავშირონ კომუნისტური მოძრაობა, გაიერთიანონ მთელი სოციალისტური, დემოკრატიული, პროგრესული ძალები ხალხთა მთავარი მტრის — იმპერიალიზმის წინააღმდეგ უფრო ეფექტიანი ბრძოლისათვის. ორატორებმა წამოაყენეს კონსტრუქციული წინადადებანი ახალი თათბირის მოწვევის მეთოდებისა და ფორმების შესახებ, რომელთა განზოგადება საშუალებას მოგვცემს გამოვიტანოთ ერთსულოვანი და ყველაზე მიზანშეწონილი დასკვნები.

ნება მიბოძეთ გავაცნოთ ჩვენი თვალსაზრისი საკითხზე, რომელიც შეტანილია საკონსულტაციო შეხვედრის დღის წესრიგში.

ჩვენი აზრით, საერთაშორისო თათბირების მოწყობა ახლანდელ პირობებში კომუნისტური მოძრაობის ბუნებრივი მოთხოვნილებაა. რა თქმა უნდა, პარტიების ინტერნაციონალური ურთიერთობა ორმხრივ და რეგიონალურ საფუძველზეც ვითარდება, მაგრამ სწორედ საერთაშორისო თათბირი, რომელიც თვითეულ პარტიას უნარჩუნებს სრულ დამოუკიდებლობას, ქმნის მსოფლიოს ყველა ქვეყნის კომუნისტთა შეთანხმებული მოქმედების შესაძლებლობას.

მუშათა კლასის, მისი კომუნისტური ავანგარდის ინტერნაციონალური სოლიდარობა ყოველთვის იყო, არის და კვლავაც იქნება მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება ჩვენს დროში განსაკუთრებით მოითხოვს პრაქტიკულ მოქმედებას კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ძვირფასი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. რაც შეეხება სხვა კავშირის კომუნისტურ პარტიას, იგი, ვ. ი. ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, სხვა მოძმე, მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან ერთად განაგრძობს „ინტერნაციონალური მუშების საქმის კეთებას: ყველა ერის მუშების შეკავშირებას, შეერთებას, შედეგად ერთიანი შეთანხმებული მუშაობისათვის“ (თხზულებანი, ტომი 20, გვ. 612). ხაბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ ახალი თათბირი უნდა მოვიწვიოთ როგორც იმის გამო, რომ საჭიროა შეკავშირება ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომლის აგრესიულობა იზრდება, ისე თვით კომუნისტური მოძრაობის ახლანდელი მდგომარეობის გამო.

თუ მთლიანად შევაფასებთ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ კომუნისტური მოძრაობის გარკვეული სიძნელეებისა და იმპერიალიზმის აგრესიული ნრეების აქტივიზაციის მიუხედავად, მსოფლიო განვითარების ძირითადი ტენდენციაა რევოლუციისა და სოციალიზმის ძალების ზრდა, რომელთა ავანგარდში კომუნისტები არიან. მსოფლიოში ახლა იწყება ისეთი ხანა, როცა რევოლუციური ძალების წინაზე დგება ახალი ამოცანები და ისახება ახალი შესაძლებლობანი.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის ჭეშეენები ზრდიან თავიანთ პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო ძლიერებას. უწინარეს ყოვლისა, ამიტ განსაზღვრება მსოფლიო სოციალისტური სისტემის, როგორც მთავარი ანტიიმპერიალისტური ძალის სულ უფრო მზარდი როლი. სოციალისტური ქვეყნების კომუნისტთა პროცესის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება ჩვენს დროში განსაკუთრებით მოითხოვს პრაქტიკულ მოქმედებას კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ძვირფასი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ჩვენ ეს ვიცოდეთ ... ...

გაზაფხული გვაძლევს!

● „მოწყალების კალთას“ ამოფარებულნი

სოფლის მთავარი გზიდან გადაუხვიეთ თუ არა, აგურის შენობა გამოჩნდა.

— კოლმეურნეობის კანტორა ეს არის, — მიგვითითეს ამ შენობაზე.

კანტორაში კოლმეურნეობის ხელმძღვანელები არ დაგვხვდნენ. თავმჯდომარის კაბინეტის შესასვლელთან კი საკოლმეურნეო საქმის გულშემატკივარი მშრომელები გაცხარებით საუბრობდნენ. მათ ერთი რამ აწუხებდათ. სოფელ კულაშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრები ცუდი მოსავლიანი როდია. კოლმეურნეთა უმრავლესობა ბეჯითად მუშაობს, მაგრამ შედეგი სახარბიელო ვერ არის.

ნვენ დაგვაინტერესა კოლმეურნეობის საქმიანობამ. როცა ღრმად შეეისწავლეთ კოლმეურნეობის ეკონომიკა, ვესაუბრეთ იმ ადამიანებს, რომელთა ხელით იქნება საკოლმეურნეო ხვალი, დაკრწმუნდით, რომ აქ არსებულ რეზერვებს როდი იყენებენ. ისინი წლების განმავლობაში გამოუყენებელია.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. მანჭგალაძემ ასეთი მაჩვენებლები ჩაგვიწერინა:

— ხუთწლედის მეორე წელს კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 11,8 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 15 ცენტნერისა.

— ერთი ცენტნერი სიმინდის მოყვანა დაჯდა 12 მანეთი და 37 კაპიკი ნაცვლად 10 მანეთისა და 78 კაპიკისა.

— ჰექტარზე საშუალოდ მიღებული 42,1 ცენტნერი ბოსტნეული ნაცვლად 71,3 ცენტნერისა.

— ერთი ცენტნერი ბოსტნეულის მოყვანა დაჯდა 12 მანეთი და 37 კაპიკი ნაცვლად მისი ნახევრისა.

ხორცი აწარმოეს 30 ცენტნერი ნაცვლად 70 ცენტნერისა.

— ცენტნერი ხორცის წარმოებაზე დაიხარჯა 444 მანეთი და 71 კაპიკი ნაცვლად 169 მანეთისა და 5 კაპიკისა.

— ღორის ხორცი აწარმოეს 11 ცენტნერი ნაცვლად 76 ცენტნერისა.

— ცენტნერი ღორის ხორცი უჯდა 561 მანეთზე მეტი ნაცვლად 124 მანეთისა.

როგორ, პროდუქტების წარმოება თქვენთან ზარალს იძლევა?

— რა ვიცით, — დაბნეულად გვიპასუხა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

როგორც გამოირკვა, კოლმეურნეობაში თითქმის არც ერთი დარგი მოგებას არ იძლევა და, სამწუხაროდ, მოსავლიანობის გეგმებსაც ვერ ასრულებენ.

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ კოლმეურნეობის მესვეურები ცუდად მუშაობენ. აქაურები ბუნებას ვერ დაემდურებიან. მიწაც კარგია და ადამიანებიც. ასე რომ არ იყოს, შარშან ჰექტარზე 59 ცენტნერ სიმინდს ვერ მოიყვანდა კოლმეურნე გორგი ერქვანია, ჩაის მოსავლიანობის გეგმას ორმაგად ვერ შეასრულებდა შურა ჭინტურია და ბევრი სხვა.

როგორ მუშაობენ წელს, შარშანდელი მდგომარეობიდან რა დასკვნა გაიეთეს და როგორ შეხვდნენ ხუთწლედის მესამე წლის გაზაფხულს?

გაზაფხული დაიწყო და „მოწყალების კალთას“ ამოფარებული კოლმეურნეობის მესვეურები ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, რომ საგაზაფხულო კულტურის დასთესად იქონიონ ჯანსაღი ტექნიკა, კონდიციური თესლი, ყოველმხრივ მოამზადონ ნიადაგი დასათესად.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტის ფანჯრიდან რომ გაიხედეთ, ეზოში უპატრონოდ მიტოვებული ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები შეავმჩნიეთ.

— ეს ჩვენი ტექნიკის სარემონტო და შესანახი ფარდულია — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. მანჭგალაძემ. მისი სიტყვა დადასტურა პარტორგანიზაციის მდივანმა გ. ნიკურაძემ და თანაც აღნიშნა, ტრაქტორები ძირითადად მზად არის, სწორედ ამ ფარდულში ყვილფერი კეთდება იმისათვის, რომ საგაზაფხულო კულტურები დაითესოს აგროვადებში.

მათთან ერთად დავათვალიერეთ ეს მანქანა-იარაღები.

შეუფერებელ ადგილას მოწყობილ ღია ფარდულში უპატრონოდ ეყარა მანქანების ნაწილები. ერთ ადგილას შევამჩნიეთ „დტ-75“ მარკის ტრაქტორი. ტალახიანი იდგა სარემონტო ფარდულში წყლიან ადგილას.

გამოირკვა ისიც, რომ ტრაქტორი კოლმეურნეობას შარშან შეუძენია 2.816 მანეთად. შეძენიდან დღემდე მოუხნავს მხოლოდ 551 ჰექტარი (რბილ ხვნაზე ჯადაყვანით) და უკვე ორჯერ შეუკეთებიათ.

ან და ის ფაქტი, რომ შესაკეთებელი ტრაქტორი ტალახიანი დაუყენებიათ წყლით სავსე ფარდულში, შარშან შეძენილი ტრაქტორი კი წარამარა რემონტშია, ნუთუ არ აღელვებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და პარტიული ორგანიზაციის მდივანს (გ. ნიკურაძე)?!

კოლმეურნეობამ 1962 წელს შეიძინა „დტ-54“ მარკის ტრაქტორი, დღემდე მის რემონტზე 2.622 მანეთი დახარჯეს. ამ საქმეზე მარტო შარშან 1.075 მანეთი მოიხმარეს. ჩვენ კი ვნახეთ, რომ ტრაქტორი უპატრონოდ ტალახში იდგა. წელს ამ ტრაქტორის ჩამოწერას ვფიქრობთო, — გულდამშვიდებით განაცხადეს კოლმეურნეობის ბუხჰალტერმა, ჰ. ნიკურაძემ და თავმჯდომარემ გ. მანჭგალაძემ.

განა ტექნიკისადმი ასე უდიერად მოპყრობა და მისი რემონტისათვის საკოლმეურნეო ქონების ასე ხელგაშლილად ხარჯვა დანაშაული არ არის?

კომენტარი ზედმეტია.

გაზაფხული დაიწყო. მიუხედავად ამისა, კულაშელ კოლმეურნეებს არც თესლის მომზადების საქმეში აქვთ სახარბიელო მდგომარეობა. საწყობში (გამგე გ. ზამთარაძე), სადაც ინახავენ სათესლე მასალას, შეხვეებით სხვადასხვა სახის მარცვალს, ხორბალს, სიმინდს, ცოცხს და სხვ. აქვე ყარია კაცდღეებზე გასაცემი მარცვალი. ერთი სიტყვით, ვერ გიგებთ რომელია სათესლე მასალა. უფრო მეტი. სიმინდის სათესლე მასალა, რომელიც დაუფშვნია, საწყობის კუთხეში 2 მეტრის სისქეზე იყო დაყრილი.

გაზაფხულის დაწყება არც მინდვრებში იგრძნობა. ჩაის პლანტაციებში მწკრივთაშორის ნიადაგი დამუშავებულია უმნიშვნელო რაოდენობით. სადრენაჟო არხების წესრიგში მოყვანა აგროვადების მიხედვით პირველი თებერვლისათვის უნდა დაემთავრებინათ. ეს სამუშაო 15 თებერვლისათვის დაწყებულიც არა ჰქონდათ. ჩაშალეს მზრალის ხვნის დავალების შესრულებაც.

სიმინდის თესვის დაწყებამდე საჭიროა ნიადაგის მომზადება.

— კოლმეურნეობაში წლების განმავლობაში ჩალის დარჩენილ ღეროებს არა ეჭრით და არ ვიღებთ, ისე ვხნავთ და ვთესავთ, — გვითხრა საუბარში კოლმეურნეობის აგრონომმა, რ. გუძუაძემ.

საკვირველია ასეთ ნაკვეთზე როგორ უნდა დათესონ მწკრივად სიმინდი, ან როგორ უნდა ჩატარონ კულტივაცია? ერთი სიტყვით, კოლმეურნეობის აგრონომმა რ. გუძუაძემ აგროწესებში „სიახლე“ შეიტანა. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ კოლმეურნეობაში ვერ ასრულებენ სიმინდის მოსავლიანობის გეგმას.

საქსოფლტექნიკის სამტრედიის განყოფილების (მმართველი ა. ჩირგაძე, მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი რ. აბზიანიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ქ. მუქერია) მექანიზატორები საგარეჯოელ მექანიზატორთა პასუხად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და საგაზაფხულო ხვნა-თესვის ყოველმხრივ მომზადების მიზნით იკისრეს მთელი რიგი ვალდებულებები. განყოფილების მექანიზატორებმა პირველ დღეებში კარგად იმუშავეს და გასული წლის მეოთხე კვარტალში ვალდებულებით ნაკისრი 19 ტრაქტორი შეაკეთეს.

ტრაქტორების რემონტის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა შევასრულოთ ვადაზე ერთი თვით ადრე — ასეთი იყო ვალდებულების ერთ-ერთი მუხლი. ასრულებენ ამას? თუ ასე გაგრძელდა, პირობა, ცხადია, ქაღალდზე დარჩება. სარემონტო სახელოსნოს ეზოში ვნახეთ „დტ-54“ მარკის ტრაქტორი.

— ეს მელაურის კოლმეურნეობამ სარემონტოდ 5 დღეა მოიყვანა და მისი შეკეთება ჯერ არ დაგვიწყია, რადგან არა გვაქვია, — თქვა მთავარმა ინჟინერ-მექანიზატორმა რ. აბზიანიძემ. სამუშაროდ 5 დღეში ისიც ვერ დაადგინეს, ტრაქტორის რა ნაწილია შესაკეთებელი.

განყოფილების კანტორიდან 20 მეტრ მანძილზე შევამჩნიეთ კომბაინები. ვნახეთ, მაგრამ გული გვეტკინა. წყლით დაფარული ტექნიკა და წვიმისაგან დაეანგული კომბაინის ნაწილები საცოდავი სანახავი იყო.

არის ასეთი ფაქტებიც. შესაკეთებელი და შეკეთებული ტრაქტორები სახელოსნოს ეზოში ლიაცის ქვეშ დგას, აწვიმს და იეანგება. ეს მაშინ, როდესაც „საქსოფლტექნიკის“ სამტრედიის სარემონტო განყოფილებას აქვს ორი ვეებერთელა ფარდული, რომლებიც ცარიელია და რატომღაც ვერ იყენებენ ტექნიკის შესანახად. ავტომანქანის შესაკეთებელ სახელოსნოში ხელოსნებს შესცლა უჭირთ. ორ მეტრ მანძილზე წვიმის წყლის გუბეები დგას და ამის გამო ფიცარი ჯადებული. სამუშაროა, მაგრამ ფაქტია, რომ განყოფილების მესვეურებს ისიც ვერ მოუფიქრებიათ, რომ დაახლოებით 5-10 მეტრ სიგრძეზე ბარით მიწა ამოეღოთ და წყლისათვის მიმართულება მიეცათ, ამით წყალიც დაშრებოდა.

— რა ვქნათ, ბარი არა გვაქვს, თორემ ახლავე ათიოდე წუთში გავაკეთებდით, თქვა განყოფილების ინჟინერმა ა. რუხაძემ.

მას შემდეგ, რაც ა. წირქვაძე ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში თავმჯდომარედ აირჩიეს, კოლმეურნეობამ საგრძნობლად იწყო წინსვლა.

ვინ გაანაწილა კაცდღეზე 3 მანეთი და 36 კაპიკი ფული და 11,3 კოლგრამი მარცვალი? — ვინ და ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ.

ვინ მიიღო ჰექტარზე საშუალოდ 37,5 ცენტნერი სიმინდი? ვინდა ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ.

მიუხედავად ცუდი ამინდისა, ვინ მიიღო ჰექტარზე საშუალოდ 112 ცენტნერი ხარისხიანი კომბოსტო ნაცვლად 90 ცენტნერისა.

ახლაც, ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, რაიონში პირველმა, სასახლოდ შეასრულა ტრაქტორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის გეგმა.

გესიამოვნებათ, ისე მოუწყვიათ საწყობები (გამგე ვ. თევზაძე), სადაც ინახება საგაზაფხულო კულტურების თესლი. კოლმეურნეობას საჭიროზე მეტი აქვს სიმინდის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების თესლი.

ხელსაყრელ ამინდებს კარგად იყენებენ ძველსამტრედიელი კოლმეურნეები. მინდვრად გაიქეცთ სასუქები, ამზადებენ სასიმინდე ნაკვეთს, ბოსტნეულის დასათესად აფხვიერებენ ნიადაგს, სათბურებში თესავენ პამიდორს, ბადრიჯანს. ერთი სიტყვით, სადაც უნდა მიხვიდეთ, რომელ უბანშიც უნდა მოხვდეთ, ყველგან იგრძნობა კოლმეურნეთა ბეჯითი შრომის შედეგი. აი რა შეუძლია მონდომებას და დაკისრებული მოვალეობისათვის პასუხისმგებლობას.

მალე საგაზაფხულო სამუშაოები მთელი ძალით გაჩაღდება, გაჩაღდება და შეგარცხვენს, თუ მოუმზადებელი ხარ — ეს ანბანური ჭეშმარიტებაა.

შ. ბოჟუა,

„კომუნისტის“ საეც. კორ.

გუშინდელი ფოსტიდან

ამჟამად ხუცდიდის რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებიდან სახელმწიფო პენსიას 3.000 კაცი იღებს. საკოლმეურნეო პენსიონერია 6.500, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედა — 1.635.

გასულ წელს სახელმწიფო პენსიის სახით გაეცემულია 1.362.962 მანეთი, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე — 108.424 მანეთი, ხოლო საკოლმეურნეო პენსია — 715.280 მანეთი.

ბ. ალშიბაია.

სოციალისტური შეჯიბრების რაიონული ეიტრის გადაწყვეტილებით საიუბილეო წელს საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა ქვედა საქრის სასოფლო საბჭოს აღმასკომს.

ჯ. აბესაძე.

◆

ფერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

— თბილისი - მახარაძის მატარებელს, ვაგონებში გათბობა არ არის, მგზავრებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად არავინ ზრუნავს, — სწერდნენ რედაქციას მგზავრები. ეს სიგნალი ამერეკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გადაეგზავნა. ამის გამო გზის სავაგონო სამსახურის უფროსი ვ. ცქვიტინიძე რედაქციას ატყობინებს:

№ 254 მატარებლის ვაგონების გასათბობად მცირე რაოდენობით იყო გამოყოფილი ქვანახშირი, არ ქმაროდა შალის საბნები. ზოგიერთ ვაგონში, ერთმანეთ ფანჯრების გამო, მართლაც, ძალიან ცივოდა.

ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია. საქმოდ არის საბნები, ვაგონები ნორმალურად თბება. მატარებლის ბრიგადების მუშაობაზე დაწესებულია კონტროლი.

მკითხველის საჩივარი

რატომ არ ვიღებთ გაზეთს?

რა სჯობს, როცა დილაადრიანად, თავის დროზე მკითხველი ახალ გაზეთს მიიღებს. გაზეთი ხომ ჩვენი ადამიანების განუყრელი მეგობარია. ეს გასაგებიც არის. ჟურნალ-გაზეთები მკაფიოდ გამოხატავენ საბჭოთა პრესის განუყრელ კავშირს.

ბევრ ქალაქსა, რაიონსა და სოფელში კავშირგაბმულობის განყოფილებათა, ფოსტალიონთა ენერგიული მრომით მკითხველები გაზეთს დროულად ღებულობენ. მაგრამ არის შეუწყნარებელი მემთხვევები, როცა მკითხველი დაგვიანებით კი არა, სრულებითაც ვერ იღებს გამოწერილ გაზეთს. ამის შესახებ რედაქცია მრავალ წერილსა და საჩივარს იღებს.

აი მკითხველთა კულისტკივილით დაწერილი რამდენიმე ფაქტი.

ყოველგვარი შესაძლის წაუმძღვარებლად მინდა მოგწეროთ ჩემი გულისტკივილი. ნელსაც „კომუნისტთან“ ერთად გამოწერილი მაქვს თელავის რაიონული გაზეთი „ალაზნის განთიადი“, მაგრამ ვაი ასეთ გამოწერას. უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე ამ გაზეთის არც ერთი ნომერი არ მომლია.

ქ. ჩხეიძე,

ქ. ბაქო, უდელტეხილის ქ. № 41.

გასულ წელს დიდმის საცდელ საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ვმუშაობ, სხვადასხვა გაზეთები გამოიწერე. მაგრამ დაბეთ უბედურებას, დღემდე მხოლოდ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სამი ნომერი მივიღე.

როცა ფოსტას მივაკითხე, გამოწერილ ქვითარი მომთხოვეს, მეურნეობაში კი იგი არ მოუცია.

როგორ მოვიქცე, რა ვიღონო?

ლ. კობელაშვილი,

სოფელი დიღომი, ორჯონიკიძის ქ. № 146.

მართალია, პატარა სადგურია მარტოთუბანი, მაგრამ რა დავაშავეთ აქ მცხოვრებლებმა, რომ გამოწერილი გაზეთები 16 იანვრიდან მთლიანად დღემდე არ მიგვიღია?

თ. მახათაძე,

სადგური მარტოთუბანი, ამერეკავკასიის რკინიგზა.

რომ იცოდეთ, რა მოუთმენლად ველი მშობლიური გაზეთის ყოველ ნომერს სტავროპოლის მხარის სოფელ კოჩუბეევსკოეში. მიმდინარე წლის იანვარში მხოლოდ ხუთი ნომერი მივიღე გაზეთ „კომუნისტისა“, თებერვალში კი — ერთი.

დიდხანს გაგრძელდება ასე?

ვ. აფციაური,

სტავროპოლის მხარე, სოფელი კოჩუბეევსკოე, სანაპიროს ქ. № 140.

გარდაბნის რაიონის ულიანოვკის ბოსტნეული კულტურების მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები მომზადებული ხვდებიან საგაზაფხულო სამუშაოებს. უკვე შეაკეთეს 5 ტრაქტორი ნაცვლად 4 ტრაქტორისა. ამასთან ერთად წესრიგში მოაყენეთ სათესი მანქანები.

სურათზე: ავტოსატრაქტორო პარკის გამგე ე. ბერიძე (მარცხნივ) და სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ი. ისმაილოვი ამოწმებენ პამიდორის ჩითილების სარგავი მანქანის მზადყოფნას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რუსთაველი ჯუნგლებში

ისტორიული მუზეუმის საკტო დარბაზში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი ამბანაგი ვო ხონგ კეონგი მოხსენებას აკეთებდა სოციალისტური ქვეყნების ფერნალისტების წინაშე. იგი მოგვითხრობდა რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა IV ყრილობის შესახებ, რომელიც იანვრის დამლევს გაიმართა ჰანოიში, იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ყრილობამ დაუსახა მსახიობებს, მხატვრებსა და მწერლებს, დელეგატების მიერ მიღებული დოკუმენტების შესახებ. ლაპარაკი იყო ვიეტნამური ხელოვნების სოციალისტურ შინაარსსა და ეროვნულ ფორმაზე, მის საბრძოლო, რევოლუციურ ტრადიციებზე. მწერლებს, მხატვრებს, მსახიობებს მოუწოდეს გააძლიერონ იდეური სიღრმე შემოქმედებაში, აამაღლონ ოსტატობა, რეალისტურად ასახონ სინამდვილე...

...ქუჩაში გამოვედი, ხალმზე ჩამოვჯექი პალმის ქვეშ ზედ ტროტუართან, ყურს ვუგდებდი ხალმოს მაცდურ სიჩუმეს, მეასეჯერ ფფიქრობდი საოცარ, გმირულ ქალაქზე, რომელიც ქვემეხთა ლულებით აქოჩრილა და ყრილობებს იწვევს ლიტერატურული, ესთეტიკური პრობლემების განსახილველად. ველოსიპედისტმა ნელი ზრიალით ჩამიარა. მე წამოვხტი. ნუთუ ის არის? როგორ?

— ვინ! — მთელი ხმით დავუძახე. — ეს შენა ხარ, ვინ?

ველოსიპედისტი შეტორტმანდა, გაუბედავად კიდევ რამდენიმე მეტრი გაიარა. ლურჯქურთუკიანი კაცი მეცა და გადამეხვია. მაღალ-მაღალი, ჭარხლის ფოჩივით წამოჭიჩრილ ჯალჯოხიანი კაცი. ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, მე და მან ერთად შემოვიარეთ მთელი ჩრდილოეთი ვიეტნამი ლანგშონიდან მე-17 პარალელამდე, გვეძინა ხიმინჯებზე შედგმულ გლეხურ ქოხებში, ჯეთხულობდით ლენინს მდინარის გადასასვლელებთან და მიტოვებულ ტაძრებში, ორნი პატარა ნავით გავდიოდით ვიეტნამის ძლიერ ლურჯ ზღვაში. შემდეგ მისი ინსტიტუტი — მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტი ჰანოიდან გადაიტანეს. დაიწყო ომი. იმ დროისათვის ლე ვინი, რომელიც ლენინის ფსევდონიმით წერდა, უკვე ცნობილი ხდებოდა როგორც ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი. თარგმნა გოგოლის კომედიები, დაწერა მონოგრაფია მის შესახებ. გამოაქვეყნა ხერხა ხტაიეების სახეობათა ლიტერატურაზე.

რეპორტაჟი ვიეტნამიდან

— ლმერთო ჩემო! ვინ, საიდან გაჩნდი, შენ ხომ ევაკუაციაში ხარ?

— შენ საიდანღა გაჩნდი, შენ ხომ მოსკოვში ხარ?

ვდგავართ და არ ვიცით, რით დავიწყოთ. შემდეგ იგი ველოსიპედზე ჯდება, მე სანარგულზე შემოვუჯექ, ვიეტნამურად ფეხები ერთ მხარეს ჩამოვუშვი და მივდივართ ქალაქის „სანაზრო“ ნაწილში, მის სახლში ბატგანის ქუჩაზე. ვსხედვართ მის შოშის ბუდესავით კოშკურაში, სადაც ჩემთვის ნაცნობია ყველაფერი, გორკის დიდი პორტრეტით დაწყებული და ჭალეხური ქუდისაგან გაკეთებული ამაუურით დამთავრებული, და, რა თქმა უნდა, ჩაის ვსვამთ. და კვლავ ვდუმართ. ბოლოს მან თითქოს ველარ მოითმინა და ალაპარაკდა:

— რატომ არ იწერეზოდი? ერთხელ არ მოგიწერია სამი წლის განმავლობაში. თუმცალა მეც ხომ არ გწერდი. აქედან 40 კილომეტრზე ვცხოვრობ. მე და შენ იქ არაერთხელ ვყოფილვართ. ახლა ერთი დღით ჩამოვედი, ხვალ საღამოს უკან გავეშურები. ჩამოვედი იმისათვის, რომ წავიღო ანაბეჭდი ჩემი სტატიისა შოთა რუსთაველზე. ბევრი მუშაობა მიხდება. ერთ ამბანაგთან ერთად დასაბეჭდად მოვამზადე პირველი ტომი დიდი წიგნისა „გმირული ეპოქა და გმირული სახეები“ — დიდი სამამულო ომის პერიოდის საბჭოთა ლიტერატურაზე. ფადეევი, სიმონოვი, გროსმანი, პოლევოი, ალექსანდრე ბეკი. მხატვრები? მხატვრები სხვა სოფელში ცხოვრობენ, ჩვენს შორიახლოს. არა, ჩვენთან სიფუნარეა, ხადღაც მთლად ახლოს ყოველდღე ბომბავენ, ჩვენს სოფელს კი თითქმის არაფერი მოხვედრია. ისე, ორიოდე ქოხს განაპირა უბანში. ჩვენ ხომ თითქმის სრულებით არა ვჩანვართ ზემოდან — რაც უნდა იყოს ჯუნგლებია. ეჰ, ბებერო, თვალებს ვერ ვუჯერებ.

— რატომ არ მოხვალ ხარ?

— შენც ამ სულელური კითხვას მაძლევ? ათასჯერ ვითხოვე. არ მიგაკვართ. მე მეცნიერულ კადრად ვითვლები. იჯექ, ნუ ფართიფუტობო. უნდა იმუშაო. ომის გამო მეცნიერებასა და ლიტერატურაში არ უნდა ჩამოვრჩეთო, შენ კი უცხოური ლიტერატურის ზე რომ მიდევს. „მეცნიერული კადრი“ ბეწვის ქუდითა და ჭუჭყით დიდ თეატრთან მოსკოვში, — მაშინ ჯერ კიდევ მომავალი „მეცნიერული კადრი“. იგივე — მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის შენობასთან ვიღაც ქალიშვილთან ერთად. იგივე — ტურის სტუდენტთა ჯგუფში, სათხილამურო შარვლები რომ აცვიათ და ზურგჩანთები ბკიდიათ.

— ჰანოიში ხშირად დადიხარ? — ვეკითხები.

— რას ამბობ. კარგია, თუ ორ თვეში ერთ დღეს მოვხვდი. დღეს ჩვენი 40 კილომეტრი ოთხასს უდრის. გზას სულ მუდამ ბომბავენ.

— ეგ ვიცი, თვითონ მინახავს.

ჩაი ერთ ეიცქნა ფინჯნებში გაციებას ვერ ასწრებს. ჩვენ კი არა ვსვამთ, პირდაპირ ვყლაპავთ ამ მომწარო, მწკლარტე, თითქმის ნარკოტიკულ ჩაის. თანდათანობით ქარება ადგილისა და დროის შეგრძნება. ვინი, ვიეტნამელისათვის არაჩვეულებრივად აყლაუუდა, თავის „შოშის ბუდეში“ კუთხიდან კუთხეში დაბიჯებს — ადგილი სწორედ მისი ორი ნაბიჯისათვის ეკმარა — და ლაპარაკობს ტიპიურის შესახებ რუსულ და ვიეტნამურ ლიტერატურაზე, თავს ეხსნის იმათ, ვისაც ამ პრობლემაში არა ესმის რა. ლაპარაკობს ირონიითა და პოლემიკური გაბრაზებით, თუმცა მე როდი ვაპირებ ვედავო. შემდეგ მითარგმნის თავის სტატიას რუსთაველზე, ძველ ჰუმანიზმზე, იმაზე, რომ ჩვენ, თანამედროვე ადამიანები, კომუნისტები, უფრო მეტად უნდა ვეწვიფებოდეთ სიბერძნის ძველ წყაროს.

— ვამთავრებ არცთუ წმინდა ლიტერატურული დებულებით. როგორ არის ეს სტრიქონი? „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. აი სწორედ ამ სტრიქონით ვამთავრებ. ეს ეხება ცალკეულ ადამიანებსაც და მთელ ხალხებსაც.

შემდეგ ტბის ნაპირს მივუყვები. ვერ მომიშორებია ფიქრი ვინზე და ასობით სხვა ვიეტნამელ ლიტერატორსა და მხატვარზე, ჯუნგლებში რომ ცხოვრობენ, შიმშილობენ, მაგრამ სიიმედოდ დაფარული არიან ბომბებისაგან, რათა ამ ბომბების მიზეზით ვიეტნამი ტიპიურის პრობლემების გაგებაში არ ჩამორჩებოდეს.

ა. ტერ-გრიგორიანი,

ჰანოი.

(„იზვესტია“, 29 თებერვალი)

სპეციალისტი ხარ, ასეთები ცოტა გყავთ.

**მაშინ ალუარად ვფურცლავ ფოტოალბომს, მუხლებზე რომ ადევს. ეს ბიჭი ბანკოკიდან ჩამოსულა. ეს ბიჭი ბანკოკიდან ჩამოსულა. ეს ბიჭი ბანკოკიდან ჩამოსულა

ლაურეატი წიგნები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა რვა წიგნი ცნო გამორჩეულად მხატვრული გაფორმებითა და პოლიგრაფიული შესრულებით საუკეთესო გამოცემისათვის გამოცხადებულ სრულიად საკავშირო კონკურსში.

კონკურსის უმაღლესი ჯილდო — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის დიპლომები — მიენიჭა წიგნებს: „დიდი ოქტომბრის დოკუმენტები“ (პოლიტგამოცემლობა), „წერილები ლენინს საზღვარგარეთიდან“ და „დიდი საქმეებისა და აღმოჩენების ქვეყანა“ (გამომცემლობა „მისლი“), ალბომი „ლენინიანა“ (გამომცემლობა „ხუდოჟნიკ რსფსრ“ — ლენინგრადი), „მსოფლიო ხელოვნების ძეგლები“ (გამომცემლობა „ისკუსტვო“), ვ. მაიაკოვსკის „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“ (გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა“), ლ. საველიევის „ოქტომბრის ხაზები და რუკა“ (გამომცემლობა „დეტსკაია ლიტერატურა“), აგრეთვე ჟურნალ „პოლიგრაფიას“.

კონკურსი ყველაზე მასობრივი აღმოჩნდა მონაწილეთა რიცხვით. კომიტეტმა განიხილა ორი ათასზე მეტი სხვადასხვა გამოცემა, რომლებიც წარმოადგინეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გამომცემლობებმა.

ჩვენს ყველა-ჟყალეში

ბულეტენი „კომუნისტისა“ და საქალაქო კორესპონდენტები

● ნ ა ი რ ●

□ **ბაკიგული.** (საკ. კორ.). ბაზი მტკიცედ მკვიდრდება რაიონის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში. ეს მოხერხებული და რენტაბელური სათბობი თანდათან ხმარებიდან დევნის შეშასა და ნახშირს. ამ დღეებში აქ მიდგეს და მგშახტეთა საცხოვრებელ ბინებში დაამონტაჟეს 35 ახალი გაზქურა.

ამჟამად ქალაქში გაზიფიცირებულია ორი ათასამდე ბინა, საზოგადოებრივი კვების ქსელის 91 ობიექტი, 35 საბავშვო ბაღი და ბაგა, 4 სამრეცხაო და 16 საავადმყოფო-პოლიკლინიკა.

□ **სოფელი** ჭალა საჩხერის რაიონის ცენტრს ათი კილომეტრით არის დაშორებული. ამ სოფლიდან სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობენ ავტობუსები. ავტობუსების მოსაცდელთან მგზავრებს ზოგჯერ ლოდინი უხდებათ. ამიტომ მგზავრთა უკეთ მომსახურებისათვის საჩხერის რაიკოოპერატივმა სოფელ ჭალაში ავტობუსების გაჩერებასთან გასულ წელს ააგო ახალი სასადილო-პავილიონი.

ა. ანასაშვილი.

□ **ცხაკაიას** რაიონში 3.020 კოლმეურნეს ეძლევა პენსია. გასულ წელს კოლმეურნე პენსიონერებმა მიიღეს 464.381 მანეთი. გარდა ამისა, კოლმეურნე ქალებს ორსულობის გამო საშვებულებო დახმარების სახით მიეცათ 19.142 მანეთი.

ხ. კუბაკა.

● ნ ა ი რ ი ●

რადიოკვანძი ქარხანაში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). „საქაბელის“ ქარხნის კოლექტივს საკუთარი რადიოკვანძი აქვს. აქ ყოველდღე ეწყობა რადიოგადაცემები ქარხნის ცხოვრებაზე, მორწმუნეებ მუშათა გამოფდილებაზე, აკრიტიკებენ ჩამორჩენილებს. მუშებს შორის პოპულარობით სარგებლობს მუსიკალური გადაცემები და ეგრეთწოდებული „ნიანგის ტელევიზორი“, რომელიც კიცხავს დაბზვიანებლებს, გამცდენებს და წესისმკეთებლებს.

● ● ●

ფოტოაპარატით ჩვენს ქვეყანაში

ტურისტული ბაზა „ტებერდა“ ყარაჩაი-ჩერქეზეთის მთებში მდებარეობს. საიდან არ ჩამოდიან აქ დასასვენებლად. გასულ წელს „ტებერდაში“ შვებულება გაატარა ასი ათასზე მეტმა ტურისტმა. ახლაც ახობით მოგზაური მიიკვლევს სათხილამურო გზას თოვლით დაფარულ თვალწარმტაც ფერდობებზე. სურათზე თქვენ ხედავთ რიგიდან ჩამოსულ ტურისტებს — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს ვალენტინა ეუშმას, სალოკომოტივო დეპოს ტექნიკოს-ლაბორანტს ლიუდმილა შაულევას, ქარხანა ვეფის კონტროლიორს ლიუდმილა ზუევასა და ეკონომისტ რამუტა შეველინსკაიას.

ფოტო კ. ტარუსოვისა.
(საკადესის ფოტოკორონიკა).

შეხვედრა უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ ჰედური ხელოვნების ოსტატები ირაკლი ოჩიაური და ჯობა გურული. საუბარ დარბაზში მოეწყო სტუმართა ნამუშევრების გამოფენა და მათთან შეხვედრა.

სტუმრებს მიესალმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის პირველი მდივანი ო. გოგიაშვილი.

შემდეგ უჩვენეს კინოფილმები — „ქართული კერამიკა“, „ი. ოჩიაური“ და „სიყვარულს უშენებია“, რომლებიც ასახავენ ჰედური ხელოვნების განვითარებას საქართველოში.

ფილმებისა და გამოფენილ ნაწარმოებთა შესახებ გაიმართა კამთი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ფერაძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებმა ზ. ჭუმბურიძემ და რ. მიშველაძემ. სტუდენტთა სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ახალგაზრდა მხატვარმა, სტუდენტმა გ. სირაკანიამ.

ი. ოჩიაურმა და კ. გურულმა შეარებილთ მადლობა გადუხადეს გულთბილი შეხვედრისათვის.

დასასრულ სტუმრებს მისასალმებელი ადრესები გადასცა პროორექტორმა ნ. ლომოურმა.

ო. იაუალაშვილი.

მილიონ-ნახევარი მოგება

„დოსაფის“ მესამე ავტომოტოლატარია

სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი წელს აწყობს მესამე ავტომოტოლატარიას. მოსახლეობას შორის ბილეთების გავრცელება დაიწყება პირველ აპრილს.

ლატარიაში თამაშდება 1.500 ათასი ფასიანი ნივთებისა და ფულის მოგება. მათ შორის 3.360 ავტომობილი „ვოლგა“, „მოსკვიჩი“ და „ზაპოროჟეცი“, 16.320 მოტოციკლი, 19.680 მოტოროლერი, მოპედი და მოტოველოსიპედი, 12.800 რადიომიმღები „ვეფტრანზისტორ-12“, 7.840 ნაკის მოტორი. მოგებათა საერთო ღირებულება 40 მილიონ მანეთს შეადგენს.

1967 წლის ლატარიასთან შედარებით მოგებათა ალბათობა სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობაყოფლობითი საზოგადოების მესამე ავტომოტოლატარიაში თითქმის 30-ჯერ იზრდება.

საკადესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობაყოფლობითი საზოგადოებების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ საბჭოთა კავშირის გმირმა არმიის გენერალმა ა. შემტშენმა თქვა: მესამე ავტომოტოლატარია, ისევე როგორც წინა ლატარიები, ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში თავდაცვითი-მასობრივი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა განვითარებას, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას. (საკადესი).

● ● ●

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე

სიმღერა მეგობარია

სიმღერა ადამიანის თანამგზავრია, მასთან არის შრომაში, ლხინში, ჭირში. კაცი საქმეს აკეთებს და ღღინებს, შინ და გარეთ, მთაში თუ ველად სიმღერა თან ახლავს, დარდს უქარვებს, ამხიარულებს.

ქართულ ხალხურ სიმღერას ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული. საუკუნეებს მანძილზე ქართული სიმღერა სახეს იცვლიდა, იხვეწებოდა. მან კავლენა იქონია ჩვენი ხალხის ყოფაზე, ზნეჩვეულებებზე. ქართულმა მრავალხმიანობამ, ამ მეტად იშვიათმა მოვლენამ ხალხების მუსიკალური კულტურის ისტორიაში, საქართველოს მრავალი მეგობარი შესძინა და მილიონობით მსმენელი მოხიბლა.

ბუნებრივია, რომ საქართველოში 20-იან, 30-იან წლებში, უფრო მეტად საგუნდო სიმღერამ მოიკიდა ფეხი პროფესიულ მუსიკაში. ეს, რა თქმა უნდა, განვითარების ლოგიკური შედეგი. მაგრამ დრომ ახალი პრეტენზიები წაუყენა მუსიკასა და სიერთოდ ხელოვნებას. გაჩნდა იმ დროისათვის საკმაოდ კარგი ცალხმიანი სიმღერები. ამ მხრივ ეროვნული ანსამბლური კულტურის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით კომპოზიტორებს შ. მშველიძეს, გრ. კალაძეს, ნ. შარაბიძეს, შ. ბაზმაიფარაშვილს, გრ. კოკეტაძეს და სხვებს.

ქართული სიმღერა განვითარდა, გაიზარდა მისი სოციალური მნიშვნელობის ფუნქცია. დიდი სამამულო ომის დღეებში შესანიშნავ რუსულ ფრონტელურ სიმღერებთან ერთად ისმოდა ქართული ჯარისკაცული სიმღერებიც, რომლებიც სამშობლოსათვის ბრძოლაში ხმლად და ფარად მოჰყვებოდა ქართველ ვეკაცებს...

კვლავ დროის ვალდებულებამ მი